

ინოვაციური კონკურენცია საბანკო სექტორში

მარიამ ხაბურზანია,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება მთელი რიგი მიკროეკონომიკური, მაკროეკონომიკური სოციალური და კულტურული ფაქტორებითა და თავისებურებებით. ფართო გაგებით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ქვეშ იგულისხმება მისი ფირმებისა და დარგების შესაძლებლობა, დაიპყრონ და გაიმყარონ პოზიციები უცხოურ ბაზრებზე. მ. პორტერის აზრით, ქვეყნის ცხოვრების დონის სტანდარტები განისაზღვრება მისი ეკონომიკის პროდუქტიულობით, რომელიც იზომება კაპიტალის, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების ერთეულზე წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებით.

INNOVATIVE COMPETITION IN THE BANKING SECTOR

Mariam Khaburzanian,
Doctoral student of GTU

SUMMARY

Competitiveness is determined by a range of micro-economic, macroeconomic, social and cultural factors and peculiarities. In the broadest sense, the competitiveness of the country implies the possibility of its firms and fields to conquer and take positions in foreign markets. According to M. Porter, living standards of the country are determined by the productivity of its economy, measured by the value of goods and services produced in the capital, human and natural resources unit.

* * * *

კონკურენტული უპირატესობის თეორია შემუშავებულ იქნა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის მაიკლ პორტერის მიერ. ამ თეორიის თანახმად ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც გააჩნია დაახლოებით ერთგვაროვანი განვითარების დონე, ფლობს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უპირატესობების ერთობლიობას. მათ მიეკუთვნება შრომის ნაყოფიერების მაღალი დონე, შრომითი რესურსების ხარისხი, წარმოებული პროდუქციის და მომსახურების ხარისხი, მართვის ხელოვნება და სხვა.¹

ეკონომიკური ფორუმის განმარტებით, ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა გამოიხატება ინსტიტუტების განვითარებაში, პოლიტიკასა და ბუნებრივ ფაქტორებში, რომლებიც განაპირობებენ

ქვეყნის ეკონომიკის პროდუქტიულობის დონეს. ჰარვარდის ბიზნესსკოლის პროფესორი მაიკლ პორტერი პროდუქტიულობას ხსნის, როგორც ბუნებრივი რესურსების, შრომის, კაპიტალისა და ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობის დონეს – რესურსებიდან მიღებული შემოსავლის სიჭარბეს ხარჯებთან მიმართებით.²

ქვეყანას, რომელსაც სურს, რომ ჰქონდეს მაღალი დონის მწარმოებლურობა აუცილებელია გააჩნდეს მაღალმწარმოებლური კომპანიები. უფრო მეტიც, მაღალმწარმოებლური და გამოცდილების მქონე კომპანიების გარდა კონკურენტუნარიან ქვეყანას აუცილებელია ჰქონდეს მაღალი ხარისხის ბიზნეს გარემო. ამ შემთხვევაში, კონკრეტული უპირატესობების მისაღებად უდიდესი როლი ენიჭება სახელმწიფოს.³

საბანკო სექტორში გრძელდება ბანკების გამსხვილების პროცესი. 2015 წელს განხორციელდა TBC ბანკისა და „ბანკ კონსტანტას“ შერწყმა, ასევე „პრივატ ბანკი“ შეიძინა „საქართველოს ბანკმა“, ხოლო 2016 წელს TBC ბანკმა შეისყიდა „ბანკი რესპუბლიკა“ და „პროგრესბანკი“⁴

ბანკების რაოდენობის კლების პარალელურად იზრდება ბანკების ფილიალებისა და სერვისცენტრების რაოდენობა. ეს იმ ფონზე, როდესაც უამრავი მომხმარებელი ინტერნეტბანკს იყენებს, სალაროები, ფაქტობრივად, ფულის ჩასარიცხმა აპარატებმა ჩაანაცვლა. 1996 წელს 61 ბანკს ჰქონდა 242 ფილიალი, დღეს კი 18 ბანკს 955 ფილიალი და სერვისცენტრი აქვს.⁵

როცა ვსაუბრობთ და მიმოვიხილავთ საქართველოს საბანკო სექტორში არსებულ მდგომარეობას, განსაკუთრებით კონკურენტულ გარემოსა და მისი ხარისხის შეფასებას მისი ეფექტიანობის კუთხით, საჭირო და მართებულია ეს საკითხი მრავალნახნაგოვან პრიზმაში დავინახოთ. სრულფასოვანი დასკვნებისა და მეტ-ნაკლებად ზუსტი „დიაგნოზის“ დასასმელად, სასურველია, განვიხილოთ არამხოლოდ უშუალოდ საბანკო სექტორი, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის ანუ საბანკო სფეროს

2 <http://factcheck.ge/article/bolo-7-tslis-ganmavlob-ashi-pirvelad-globaluri-konkurentunarianobis-indeqsshis-saqarthvelos-reitingi-gauaresda/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.12.2018

3 ე. ბარათაშვილი, ვ. დათაშვილი, გ. ნაკაიძე, რ. ქუთათელაძე - ინოვაციების მენეჯმენტი თბილისი 2008 გვ 179

4 <http://forbes.ge/news/1710/bankebi-saqarTveloSi> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.12.2018

5 <http://forbes.ge/news/1674/rogor-viTardeba-qarTulisabanko-sistema> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.12.2018

1 Портер М. Международная конкуренция. – М. Международные отношения, 1993

მთავარი სახელმწიფო რეგულატორისა და ბაზარზე წარმოდგენილი კონკურენტი საბანკო სტრუქტურების ურთიერთობის ერთგვარი გამარტივებული მოდელი, არამედ ქვეყნის მთლიანი საკრედიტო ბაზარი, მისი მონაწილე ყველა სუბიექტის ჩათვლით. ე.წ. ჰორიზონტალური კონკურენცია, რომელიც მოიცავს საქართველოს მოქმედი საბანკო სტრუქტურების ერთმანეთთან ურთიერთობის ასპექტებს და მეორე, ე.წ. ვერტიკალური კონკურენცია, რომელიც საბანკო სტრუქტურების გარდა მოიცავს სასესხო კაპიტალის ბაზრის სხვა მოთამაშეებისა და ალტერნატიული სასესხო-საკრედიტო ინსტრუმენტების ურთიერთმიმართებისა და ურთიერთობის საკითხებს. აქ, ბუნებრივია, იგულისხმება მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, საპენსიო და სიცოცხლის დაზღვევის ფონდები და, რაც ყველაზე საინტერესოა, საფონდო ბაზარი, როგორც ალტერნატიული სასესხო-საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვისა და მართვის მეტად ეფექტიანი ინსტრუმენტი.⁶

საბანკო სექტორისათვის ქვეყანაში საკმაოდ სრულფასოვანი და ეფექტიანი კონკურენტული გარემო ჩამოყალიბდა. ამის საფუძველი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, არის საქართველოს ეროვნული ბანკის სწორი რეგულაციები და მოქნილი საზედამხედველო პოლიტიკა. აღნიშნულმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა საბანკო სტრუქტურებისა და მთლიანად საბანკო ინდუსტრიის თანამიმდევრული და სწრაფი ზრდა და განვითარება. ვგულისხმობ როგორც საბანკო სექტორის ფინანსურ სტაბილურობასა და გადახდისუნარიანობის საკმაოდ მაღალ დონეს, ისე ბანკების ფინანსურ მაჩვენებლებსა და საბანკო პროდუქტების მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ ხარისხს.⁷

კომპანიის კონკურენტული სტრატეგია, ჩვეულებრივ ითვალისწინებს როგორც შემტევ, ასევე თავდაცვით ქმედებებს, რომელიც ბაზარზე სიტუაციის ცვლილებების შესაბამისად გამოიყენება. გარდა ამისა, კონკურენტული სტრატეგია ითვალისწინებს ხანმოკლე ტაქტიკურ სვლებს სიტუაციებზე მყისიერი რეაგირებისათვის და გრძელვადიან ქმედებებს, რომლებზეც დამოკიდებულია კომპანიის მომავალი, კონკურენტული შესაძლებლობები და მისი პოზიცია ბაზარზე.⁸

მ. პორტერის კონკურენციის მასშტაბთან და კონკურენტული უპირატესობის ტიპებთან მიმართე-

ბით გამოიყო კონკურენციის სამი სტრატეგია:⁹

- ლიდერობა დანახარჯების მიხედვით
- დიფერენციაცია
- დანახარჯებზე ან დიფერენციაციაზე ფოკუსირება

გლობალიზაციის პირობებში ინფორმაციული ტექნოლოგიები კიდევ უფრო აძლიერებენ განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძალაუფლებას და სხვა ქვეყნების მათზე დამოკიდებულების ხარისხს. სწორედ ასეთი ქვეყნებია საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი. დღევანდელი შეზღუდული რესურსების პირობებში თითქმის არცერთ ქვეყანას არ შეუძლია კონკურენტუნარიანი იყოს ყველა პოზიციაში.¹⁰

ინოვაცია კავშირშია კონკურენტუნარიანობასა და პროდუქტიულობასთან, მაგრამ მათი სრული გაიგივება არ არის მართებული. მაშასადამე, კონკურენტუნარიანობა, ინოვაცია და პროდუქტიულობა განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან ახლოს მდგომი ცნებებია. სტიმულირებული ინოვაცია ხელს უწყობს პროდუქტიულობასა და კონკურენტუნარიანობას. ინოვაცია ნიშნავს, რომ მომავლის პროდუქტი არა მარტო უფრო იაფი, არამედ უკეთესიც იქნება¹¹

ბაზრის დარგის მონოპოლიზაციის მაჩვენებლის გამოსათვლელად კონკურენციის სააგენტო იყენებს ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს, რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით: $HHI = \sum_{j=1}^n D_n^2$, სადაც n არის ბაზარზე საქონლის მიმწოდებელთა ჩამონათვალი, D_n - n -ური მომწოდებლის წილი ბაზარზე, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:

$$D_n = \sum_{j=1}^n \frac{V_j}{V_m} * 100\%,$$

სადაც V_j არის მომწოდებლის საქონლის რეალიზაციის მოცულობა, ხოლო V_m - ბაზრის მთლიანი მოცულობა.¹² ამრიგად, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) არის ბაზრის მონოპოლიზაციის დონის მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება როგორც ბაზრის ყველა მონაწილის წილების კვადრატების ჯამი.

საქართველოს საბანკო ბაზარი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექს მაჩვენებლით მაღალკონცენ-

9 Портер, М. Международная конкуренция / М. Портер ; пер. сангл. ; подред. и с предисловием В.Д. Шетинина. – М. :Международные отношения, 2004

10 გ. ერქომაიშვილი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, შრომების კრებული 2017 წ გვ 60

11 ა. შარაშენიძე, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, შრომების კრებული 2017 წ გვ 260

12 Hirschman A. O., National power and the structure of foreign trade Expanded, writtend in 1945, published by University of California Press, Berkeley, USA, 1980

6 <http://forbes.ge/news/1682/konkurencia-Tu-monopolizebuli-bazari%3F> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.12.2018

7 <http://forbes.ge/news/1682/konkurencia-Tu-monopolizebuli-bazari%3F> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.12.2018

8 Панов, А.И. Стратегический менеджмент :учеб. Пособие для вузов / А.И. Панов, И.О. Коробейников. – 2-е изд., перераб. и доп. – М. : ЮНИТИ-ДАНА, 2004.

ტრირებულად ითვლება. ანუ ისეთ ბაზრად, სადაც კონკურენცია დაბალია და მდგომარეობა ახლოსაა კრიტიკულ ნიშნულთან.

კონკურენციის დონის განსაზღვრის მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მეშვეობით განსაზღვრული ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი კონკურენციის დონის დადგენისათვის ხშირად არ იძლევა სასურველ შედეგს. ასე, მაგალითად, შაფერმა და დისალვომ გამოავლინეს შემთხვევები, როდესაც ბანკებს გააჩნდათ ბევრად უფრო მაღალი ძალაუფლება, ვიდრე იგი იყო განსაზღვრული საბაზრო სტრუქტურით.¹³ გარდა ამისა, კლაესენსმა და ლივენმა განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების ბანკების მაგალითზე დაადგინეს, რომ რიგი ბანკის ქცევა არის უფრო კუნკურენტუნარიანი, ვიდრე იგი იყო განსაზღვრული ამ ბანკებისათვის დამახასიათებელი საბაზრო სტრუქტურით.¹⁴

ქართულ საბანკო სისტემაში მაღალ კონკურენციაზე არაერთი ფაქტი მიუთითებს:¹⁵

- საქართველოში მაღალია ბანკომატების და ფილიალების რაოდენობა
- ფილიალებით ყველაზე მსხვილი ბანკის 197 ფილიალიდან მინიმუმ 149 ფილით სავალ მანძილზე მდებარეობს
- ერთსა და იმავე სავაჭრო ობიექტში ხშირად გვხვდება რამდენიმე ბანკის ელექტრონული გადახდის (POS) ტერმინალი
- საქართველოს საბანკო სისტემაში წარმოდგენილია მსოფლიოში ბევრად კარგად ცნობილი ბანკი თუ სხვა საფინანსო ინსტიტუტი
- საკმაოდ ხშირია კონკურენტი ბანკების მიერ

13 Shaffer S., DiSalvo J. Conduct in a Banking Doupoly, Journal of Bankinf and Finance, N18, 1994, pp. 1063-1082.

14 Claessens S., Leaven L., Financial Dependence, Banking Sector Competition and Economic Growth, Journal of the European Economic Association, N1, 2005, pp. 179-207.

15 "ფასწარმოქმნა სიახლეებზე და კონკურენცია საქართველოს საბანკო სექტორში." პაპუნა ლეჟავა. "ეკონომიკა და საბანკო საქმე." ტომი I; N1; 2013

სხვა ბანკებიდან გადმობირების ფაქტები სესხების რეფინანსირების გზით.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ როდესაც კონკურენცია დაბალია ეროვნულმა ბანკმა უნდა იმუშაოს აქტიურად, რომ პროცესები სწორად წარიმართოს ბაზარზე.

დასკვნა

საბოლოოდ, შედეგები გვაჩვენებს, რომ აუცილებელია საბანკო კონკურენციისას გამოყენებულ იქნას ინოვაციური მეთოდები, ტექნოლოგიები, პროცესები და ა.შ, რაც ხელს შეუწყობს მიმდინარე მდგომარეობის გაუმჯობესებას, განვითარებას და ჯანსაღ კონკურენციას. მომხმარებელთან ურთიერთობისას აუცილებელია მას შევთავაზოთ სიახლეები, რომ სხვა კონკურენტმა ორგანიზაციებმა ვერ შეძლონ დააინტერესოს კლიენტი მისთვის უფრო მორგებული კომფორტული მომსახურებით.

იმისათვის, რომ ორგანიზაციამ გაზარდოს შედეგები, მათ უნდა შესთავაზონ მომხმარებელს გაუმჯობესებული პროდუქტი ან მომსახურება და დაწერგოს ინოვაციები ფირმის პროდუქტის შექმნაში ან მის ოპერატიულ სტრუქტურაში ან ორგანიზაციულ პროცესებში.

საერთო ჯამში რამდენიმე მსხვილი ბანკი ცდილობს საქართველოში შეინარჩუნოს ხელმძღვანელობა და დაწერგოს ახალი პროგრამები და ინოვაციური ტექნოლოგიები. ეს ეხმარება ეფექტურობის ზრდას, მომსახურების გაუმჯობესებას, ახალი მომსახურებების განვითარებას და გადახდის სისტემის მოდერნიზაციის ხელშეწყობას.

გარდა ამისა, კომერციული ბანკების განვითარებაზე ინოვაციების გარდა თვით კონკურენტული ბანკებიც ახდენს გავლენას და ამ გარემოების ფონზე ბანკები კიდევ უფრო მეტად ცდილობენ კლიენტები იყონ კმაყოფილი და მიიღონ მათი მომსახურება და არ წავიდნენ სხვა საბანკო დაწესებულებაში, იმის გამო მათ არ აქვთ კომფორტული გარემო.